საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო.

№ 25 1921 წ. ოთხშაბათი მარტის 30-ს

ფასი 50 მანეთი

სოციალისტ-ფედერალისტი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა
„სოციალისტ-ფედერალისტზე“
სახლში მიტანით გაზეთი ღირს თვეში 1500 მან.

28 მარტს ღამით ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი მამა

ილარიონ ტარიელის ძე ლორთქიფანიძე

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ანიკო ილარიონის ასული და პეტრე ივანეს ძე ქავთარაძეები შვილებით.

პანაშვიდი ყოველ დღეს საღამოს 6 საათზე თავის ბინაზე სანაპიროს (ნაბერეჟნ.) ქუჩა, № 11. დაკრძალვა ხუთშაბათს 31 მარტს, საღ. 4 საათზე. 7

საქ. სოც ფედერალისტთა პარტიის დრ. მთავარი კომიტეტი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებსა და საზოგადოებას, რომ ბათომში ოსმალებთან ბრძოლის დროს გმირულათ დაუღუპენ პარტიის წევრები სტუდენტები

შოთა ვადაჭკორია
შალვა ცურაშელიძე
პირილე ცომაია 5.

გულ დათუთქულნი მშობლები ნინო და სერგეი, ძმა ალექსნდრე ძამიაშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

კოლას

ს. ანაგაში გარდაცვალებას 693.

ღრმად დამწუხრებულნი ჯარისკაცები მე-2 ბატ. 2 დივიზიონისა: მიხეილ ახვლედიანი, გიორგი ყანჩაველი, ვასილ ზედგინიძე და ლევან ჩუბინაშვილი აუწყებენ ყველა ამხანაგებს და ნაცნობთ გმირულად დაღუპულ ბათუმის ფორტზედ № 2 „ჯახაბერი“

გიგუცა (გრიგოლ) ზაალიშვილის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს. პანაშვიდი ყოველ დღეს. ადრესი: დუშეთის ქუჩა, ანანურის შესახვევი № 7. საკუთარი სახლი. 4764

გულდამწვარი მამა ვლადიმირ, დები ნადია, თამარ და მარუსა, ძმა სოლომონ, სიძეები ივანე ლომიძე და გალაქტიონ გოგლიძე, ბიძა ალექსანდრე, ძალუა ნადია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გმირულად დაღუპულ ქ. ბათუმის ფორტზედ № 2 ქემალისტებთან შეტაკების დროს

გიგუცა (გრიგოლ) ზაალიშვილის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს, პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზედ. ადრესი: დუშეთის ქუჩა, ანანურის შესახვევი № 7. საკუთარი სახლი. 4763

ზარდაცემულნი: ლავრენტი ლუკას ძე ვაშაკიძე, ესმა, არსენ, ნადია, პოლიკარპე, ვანო, გერმანე ნაფეტვარიძეები და კატია ლუარსაბის ასული ნიკოლაიშვილი, პირველი ქმარი, შემდეგნი მშობლები და და-ძმანი, ხოლო უკანასკნელი ბიძაშვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ტფილისში (ლოტკინის ქუჩა № 13) ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი

ეპრაქსია არსენის ასული ნაფეტვარიძე-ვაშაკიძისა,

რომლის დაკრძალვა მოხდება 30 მარტს, ოთხშაბათს, ნაშუადღევის 3 საათზე ტფილისში ოიდუბის ეკლესიაში.

ხუთშაბათს, მარტის 31, საღამოს 6 საათზე
ნაძალადევის მუშათა კლუბში

რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა

სოციალის ტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ორგანიზაცია იწვევს

მუშა-მოსამსახურეთა კრებას

რომელზედაც მოხსენებას გააკეთებენ ამხანაგები:

პროფ. შალვა ნუცუბიძე და თედო ღლონტი

თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. ასეთივე კრებას მართავს **ხალხმწიფო და საზოგადო დაწესებულებების** მუშა მოსამსახურეთა სოც.-ფედერალისტთა ორგანიზაცია კვირას, აპრილის 3 ს დილის 11 საათზე ქართული დრამის (არტისტიული) თეატრში. მომხსენებელნი არიან

ამხ. პროფ. **შალვა ნუცუბიძე** და **თედო ღლონტი.**

პარასკევს, აპრილის 1 ს საღ. 6 საათზე, საქ. სოც.-ფედ. **ფარმაცევტთა ორგანიზაცია** საქართველოს მასწავლებელთა კავშირის ბინაზე (ქართული კლუბი) იწვევს **ფარმაცევტთა კრებას.** მოხსენებას გააკეთებს **პროფ. შალვა ნუცუბიძე.** ასეთივე კრებას მართავს **არსენალში მომუშავეთა** სოც.-ფედ. ორგანიზაცია შაბათს აპრილის 2 საღამოს 6 საათზე არსენალის კლუბში.

ფურცლები

3.

რას ვაკეთებთ?

მეტად რთული, ძნელი, საპასუხის მგებლობა ჯერ კიდევ პარტიათა შორის განწყობილებაზე გამოსთქვა აზრი დ ეს აზრი გაიზიაროს არა თუ ხალხი ფართო მასსამ, არამედ თვით შენმ ამხანაგმა, რომელიც შენთან ერთად პარტიულ უღელს ატარებს.

ჩვენთვის ყოველთვის აშკარა იყო დ ყველასათვის ცნობილი ჩვენი პარტიის დამოკიდებულება მენშევიკებთან. ჩვენ ურთი-ერთობა მენშევიკებთან სისტემატიურად მწვავდებოდა და დამფუძნებელს კრებაში ეს ურთი-ერთობა დამთავრდა მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადებით.

ამის შემდეგ გაცილებით ადვილია მენშევიკებზე წერა, მაგრამ აკი ნათქვამია—წაქცეულს არა სცემენო. ჩვენც ადარ ვაჩერებთ ჩვენს კალამს მენშევიკების ხელულის საჯიჯგნად, ხოლო ყურადღებას ვაქცევთ იმ პოლიტიკურ მეთოდების დირებულებათ, რომელნიც პოლიტიკურ შემოქმედების კვანძს წარმოადგენენ და რაიცა ხსნის და არკვევს ჩვენს დამოკიდებულებას ხსენებულ პარტიებთან.

ჩვენი პარტიის მოღვაწეობის გარშემო სამართლიანად დიდი მითქმა-მოთქმაა ჩვენს საზოგადოებაში. ზოგი სამარცხვინო ბოძზე გვაკრავდა ჩვენი მუშაობისათვის, ზოგი იწონებდა ჩვენს პოლიტიკურ ნაბიჯებს, ზოგიც გაურკვეველ აზრს გამოთქვამდა ჩვენზე.

— ფედერალისტებმა გვიღალატეს, დაუკავშირდენ ბოლშევიკებს, დაივიწყეს ქვეყანა, ტრადიცია და სხვა მრავალი ჭორი. ამ ხმებს განსაკუთრებით ისინი ავრცელებდნენ, რომელნიც საბედისწერო და მეტად რთულს, მძიმე მომენტებში მზეზე გამოსვლის ნაცვლად სოროებში ქვრებოდენ და ჩვენი ერისათვის რისიმე გაკეთების მაგიერ ვინ უწყის რას სჩადიოდნენ, რას აკეთებდნენ.

ჩვენ ამ ჭორებს არასოდეს არ ვაქცევდით ყურადღებას, ჩვენ ვმუშაობდით ისე, როგორც გვიმუშავნია ყოველთვის, არავითარი იოტის ოდენა ცვლილებაც არ შეტანილა ჩვენს აზროვნებასა და პრაქტიკაში, ყოველივე ეს ძალიან კარგად იცის ვინც ჩვენს პარტიას იცნობს არა ჭორებით, არამედ შინაგანი ცხოვრებით, მისი სულის დგმით, მისი ბრძოლით და განვითარებით.

მართალია, ჩვენ ერთი რამ გვქონდა გადაწყვეტილი: ტფილისის დაკარგვის შემდეგ ომის გაგრძელება იყო მხოლოდ პარტიული ავანტიურა, უაზრო სისხლის ღვრა, ქალაქების აოხრება, სოფლების აწიოკება. ზავი იყო ჩვენი პირველი სიტყვა, მაგრამ თუ ვინ უნდა ყოფილიყო საქართველოს ხელისუფალი ტფილისში ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ—ეს უმთავრესი საკითხი ტფილისის დაცემით ჩვენთვის მყისვე ცხადი და აშკარა იყო. საქართველოში რჩებოდა ბოლშევიკური ძალა და ბოლშევიკური ძალის არსებობა ჩვენ სრულებით არ მიგვიჩნდა „კონტრ-რევოლიუციონურ მოვლენად.

რუსები ამბობენ: კალმით დაწერილს ვერ ამოშლით ნაჯახითო, აი დაწერილი სტრიქონები, გვესმის ამ სტრიქონების მთელი პასუხისმგებლობა და ვაცხადებთ: ვინც რა უნდა სთქვას საქართველოს დღევანდელს რევკომზე, რანაირი შეცდომებიც არ უნდა ქონდეს მას—საერთოდ და არსებითად რევკომი

გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტი“-ს

კანტორა სთხოვს ყველა დაწესებულებებს, რომ გაზეთისთვის მიჰმართონ პირდაპირ კანტორას, რადგანაც ექსპედიციაში გაიგზავნება მხოლოდ კედლებზე გასაკრავი ნომრები.

უფრო რევოლიუციონური, უფრო დემოკრატიული და უფრო სოციალისტური, ვიდრე მენშევიკური მთავრობა. ეი ჩვენი რწმენა, ჩვენი შეხედულება ბოლშევიკებზე. ეს შეხედულება არა 25 მარტიდანაა შემუშავებულ ჩვენს შორის, არამედ მუდმივად ასეთი ჩვენი შეხედულება ბოლშევიკებზე იყო ის ნიადაგი, პირობა, რომელიც არკვევდა ჩვენს ურთი-ერთობას ბოლშევიკებთან.

არის ერთი დიდი მოვლენა, რომელიც თითქმის ყოველ ქართველს მიაჩნია ბოლშევიკების უდიდეს დანაშაულად, საქართველოს მიმართ. ეს არის რუსეთის შეიარაღებულ ძალების საშუალებით საქართველოში შემოსვლა.

ამ მოკლენაზე სათანადო პასუხის გაცემა პირველ ყოვლისა თვით ბოლშევიკების საქმეა. ჩვენი არგუმენტაციაც არ სპირიათ ბოლშევიკებს ამის საპასუხოდ. მაგრამ ამ საგანზე ჩვენვე უნდა გავცეთ პასუხი ყოველ ქართველს იმიტომ, რომ სწორედ ამ მოვლენის გამო შეუძლებელად სთვლიან ისინი ჩვენს კონტაქტს ბოლშევიკებთან.

რასაკვირველია, გარეშე ძალის დაუხმარებლად გადატრიალების მოხდენა—მეტად სასურველია. ბურჟუაზიული მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ საქართველოში ბოლო დროს ჩვენ მეტად მხნე საუბრობას ვაწარმოებდით და ვქმნიდით პირობებს შინაური გადატრიალებისათვის. ბოლშევიკებიც სისტემატიურად ეწყვეტნენ ამ ეს ხასიათის მუშაობას, რაიცა საკვლებით ჩაახრჩო რამოდენიმე რაზმებმა; მაგრამ თავი გავანებოთ ამ სასურველობას, ავიღოთ თვით ეს ფაქტი უცხო ძალების დახმარებისა და ვსთქვათ ყოველივე სანტიმენტალიზმის გარეშე—არის კი ეს მოვლენა თავის თავად ისეთი რომელიც პოლიტიკურ პარტიას ავალებდეს კონტაქტის უარყოფას ან ამ ძალის შემწეობით გამარჯვებულების უეჭველად დასამარებას?

ვიმეორებთ, ბოროტებაა უცხო ძალის დახმარება, გადატრიალება ყოველთვის უნდა ხდებოდეს ბევრი ხალხის შინაგან ძალთა სურვილით და მოძრაობით, მაგრამ გავახილოთ თვალები, მიმოვიხედოთ გარშემო, ანგარიში გაუწიოთ ისტორიის ფაქტებს, დღეინდელს მეტად რთულს ისტორიულ პირობებს და მითხარით აშკარად, სინდისის წინაშე: ვინ არ იყენებს დღეს უცხო ძალას თავის მიზნებისათვის?

ჩვენ ვამბობთ—ყველა! რა სათაკილო დასაგმობი და არასასურველიც არ უნდა იყოს ეს—ფაქტია და ამ ფაქტს ცოცხალმა პოლიტიკურმა ძალამ უნდა გაუწიოს ანგარიში. ერთი არსებითი განსხვავებაა მხოლოდ უცხო ძალების გამოყენების დროს: ვინ რისთვის იყენებს ამ ძალას.

უცხო ძალის გამოყენება შეიძლება გამართლდეს მხოლოდ ისტორიული მიზნების თვალსაზრისით. ნაპოლეონის ჯარებით დაინგრა ავსტრია, მთელი ევროპის ფეოდალიზმი და რუსეთი, მაგრამ დღეს ყველამ უნდა სთქვას, რომ საფრანგეთის ჯარის შესვლა ევროპაში სრულიად არ იყოს რეაქციონური მოვლენა, პირიქით, ეს იყო დადებითი, რევოლიუციონური აქტი, თუმცა ნაპოლეონის შესეულს ხსენებულს ქვეყნებში თან სდევდა ის, რაც საზოგადოდ ჯარის შესვლას ახასიათებს უცხო და დაპყრობილ ქვეყანაში.

ინტერვენციის პოლიტიკას ქვეყნის ხელისუფალნი მიმართავდნენ მუდამ, ყოველთვის. ანტანტა ხომ ინტერვენციის კლასიკური სამშობლოა, რომელსაც ბოლო დროს სავსებით დაემყარა ჩვენი მენშევიკობაც. მაგრამ ჩვენ კონკრეტიულად ვკითხულობთ: მიმართავენ თუ არა მენშევიკებიც უცხო ძალას? ჩვენ ვიცით, რომ მენშევიკებ დიდ მუშაობას აწარმოებდნენ ანტანტის ჯარებით ჩვენში შემოსვლისათვის. პირდაპირ ვაცხადებთ: შესაძლოა ბევრი ქართველი ნატრობდა ანტანტის ჯარის გამოჩენას ბათომის მიდამოებში, რაიცა ასე სურდა მენშევიკებს, მაგრამ ეს ფაქტი იქნებოდა სასაზღვარ ლაპარაკი, ეს ფაქტი ჩვენ ცხოვრებაში, იგი გამოიწვევდა მთელ რიგ უბედურებას, მთელი ქვეყნის განადგურებას, თუმცა ამ საშინელ იარაღს მენშევიკები არ გაურბოდნენ.

ჩვენ შეგვიძლიან კიდევ მეტი ვთქვათ: რა ძალას ემყარება გაქცეული მენშევიკური მთავრობა? განა იგი იმიტომ არ წავიდა, რომ ანტანტის ძალთა დახმარებით შემოვიდეს საქართველოში?

ყოველივე ეს ფაქტი ჩვენ იმას გვუბნება, რომ ბოლშევიკების პოლიტიკა უცხო ძალების გამოყენებისათვის სრულიად არ არის მარტო ბოლშევიკების დამახასიათებელი, პირიქით, ეს ახასიათებს დღეს ყველას, ეს ჩვენ ძალიან კარგად ვიცით და ამიტომაც იყო მხოლოდ ამ მოვლენის გამო ჩვენ ვერ აუმხედრდებოდით ბოლშევიკებს.

ყველამ უნდა გაიგოს პირობები საერთაშორისო განწყობილებისა. რუსეთის რევოლიუციამ ისეთს პირობებშია ჩაყენებული, რომ ის ან უნდა დაადგეს ფართო მსოფლიო შემოქმედებას, მსოფლიოს ფარგლებში შეტევის სისტემას, ან უნდა მოკვდეს და მოისპოს. სხვა გამოსავალი არ არსებობს. საქართველო მხოლოდ ერთი ეტაპია საერთაშორისო რევოლიუციის პროცესში და გინდა არ გინდა რუსეთის რევოლიუციის ძალა თავს იჩენს სპარსეთშიაც, ოსმალეთშიაც, ავღანშიაც, ინდოეთშიაც.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, როდ რუსეთმა უნდა მოახერხოს რითაც არ უნდა დაუჯდეს მთელი ევროპის რევოლიუციის ალში გახვევა. მოხდება ეს სოციალისტური ინტერვენციით თუ პოლიტიკური მუშაობით—თვით რევოლიუციის გადარჩენის ინტერესი მოითხოვს გადამჭრელ ნაბიჯებს, სასტიკ ზომებს, ვინაიდან დღეს ან სიკვდილი, ან გამარჯვება!—ასეა საკითხი დასმული.

რევოლიუციის ამ ძალას ჩვენ ხელი მივეცით. საქართველოში დღეს არც ბურჟუაზიული ძალაა, არც სხვა სახის რეაქციონური. ჩვენ არ ვამბობთ, ბოლშევიკების მუშაობას არ აქვს ნაკლი, არა, არის ნაკლი, ჩვენ ვიბრძვით და ვებრძოლებთ ყოველ ნაკლის ასაცდენად, არის მთელი რიგი ნაციონალი და ეკონომიური საკითხები, მაგრამ ამ საკითხების გარკვევა, გადაჭრა ჩვენ შეგვიძლიან საქართველოში ბოლშევიკებთან და ვიბრძოლებთ მტკიცედ, ვინაიდან დარწმუნებული ვართ, საქართველოში არის სოციალისტური ძალა, სოციალისტური მთავრობა.

თედო ლდონტი.

ჩვენი გზა

2. მომენტი

როგორც ორგანიული ისე კატასტროფიული თვალსაზრისი სოციალურ გარდაქმნაზე აუცილებლად ეყარება ეკონომიკის ინდუსტრიალიზაციას და ამაზე დამყარებულ კლასობრივ დაქსაქსვას. პირველს შემთხვევაში ნიადაგი მომავალ საზოგადოებისათვის მზადდება კლასთა თანამშრომლობის გზით; ბურჟუაზია და პროლეტარიატი, როგორც კონტრაგონტები მთლიან ეკონომიკისა საერთო საქმეს აკეთებენ და ობიექტურად ახალ საზოგადოებას საფუძველს უმზადებენ.

ეს თვალსაზრისი ხელმძღვანელობდა რუსეთის რევოლიუციას ოქტომბრამდე. მისი პოლიტიკა იყო კლასთა თანამშრომლობის, კლასთა მორიგების პოლიტიკა და კონკრეტიულად ეს თავის გამოხატულებას ჰპოებდა კოალიციურ მთავრობის პრინციპში.

ამ პოლიტიკის საწინააღმდეგოდ გამოდიოდა კლასთა ბრძოლის პოლიტიკა. პროლეტარიატის პოლიტიკა, რომელიც უპირისპირებდა თავის გზას მოწინააღმდეგე კლასის გზას და არამც თუ სწყვეტდა მასთან კავშირს, არამედ სამკვიდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებდა ეს იყო პოლიტიკა მუშათა კლასის გეგემონიისა, პროლეტარიატის დიქტატურისა.

ამ რიგად, რუსეთის რევოლიუციის პროცესში ერთგვარად განვითარებულ ეკონომიკის ნიადაგზე კლასი ბურჟუაზიისა და კლასი პროლეტარიატისა სრულიად გარკვეულ სოციალურ ძალებს წარმოადგენდნენ და მათი დამოკიდებულების გამოსახატავად რევოლიუციის განვითარებაში შესაძლო იყო მხოლოდ ორი გზა: ან გარიგება და კოალიცია, ან ბრძოლა და დიქტატურა.

ძირითადი განსხვავება სოციალურ გარდაქმნის შეფასებაში ქმნიდა ასევე ძირითად განსხვავებას პოლიტიკაშიაც და რამდენად შეურიგებელი იყო სხვაობა კლასობრივ წინააღმდეგობისა, იმდენად საბედისწერო ხასიათი უნდა მიეღო მენშევიზმის და ბოლშევიზმის მეტაკიბას რევოლიუციის განვითარებაში, ისტორიამ გასცა კიდეც ამ საკითხს გარკვეული პასუხი და მენშევიზმის პოლიტიკა გაუქმებულ დ გამოაცხადა; გაიმარჯვა კლასთა ბრძოლის პოლიტიკამ: რუსეთი ორ ბანაკად გაიყო—ერთ მხარეზე დაირაზმა კლასი ბურჟუაზიისა, რომელმაც აამოძრავა მთელი თავისი ენერგია, უნარი, გაიძვერობა, ორპირობა, მოუწოდა უცხო ძალებსაც ამ ბრძოლაში დასახმარებლად; მეორე მხარეზე დადგა მშრომელი კლასი, რომელმაც მიატოვა ქარხნები და დაზგები და იარაღი ალი ხელში. შესწყდა შემარიგებელ პოლიტიკის ხსენებაც კი და კლასთა ბრძოლის და სამოქალაქო ომის საკითხი სისხლ თ უნდა გადაწყვეტილიყო და გადასწყდა კიდეც რუსეთის მასშტაბით.

სამი წლის დაშორებამ რუსეთის რევოლიუციისაგან ჩვენ შეგვაჩვია იმ აზრს, რომ რუსეთის რევოლიუციასთან საქართველოს ადარაფერი აქვს ერთ კავშირი ადარ აქვს და ნაციონალ დემოკრატების დებულება — თითქოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით გათავდა საქართველოთვის რევოლიუცია—ჩვენ თითქოს დავიჯერეთ და შევითვისეთ. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, სულ სხვა იყო და ჩვენ შევიქენით იმის მოწამენი, რომ სწორედ ის ძალები, რომლებიც ამოძრავებდნენ და ხელმძღვანელობდნენ რუსეთის რევოლიუციას, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ერთი მეორეს შეხვდნენ და სამკვდრო-სასიცოცხლოთ დაეტაკნენ. ეი სწორედ ეს ფაქტი ცხად ხდის იმ გარემოებას, რომ ჩვენში მომხდარი ამბები რუსეთის რევოლიუციის განვითარებასთან არიან დაკავშირებული და ვიცით რა ის პირობები, რომლებშიაც ერთი მეორეს დაუპირისპირდნენ რუსეთში ეს ორი ძალა, ბუნებრივია ვიკითხოთ: იყო თუ არა საქართველოშიაც ისეთი პირობები, როგორც რუსეთში მენშევიზმის და ბოლშევიზმის პოლიტიკის დაპირისპირებლად და თუ არა, მაშინ რით აიხსნება ის საბედისწერო ომი, რომელიც ეგრე ძვირად დაუჯდა როგორც ფიზიკურ კეთილდღეობას ქართველ ერისა ისე მის მეურნეობას?

შ. ნუცუბიძე.

პრესის მიმოხილვა

ამხ. კან აგრძელებს კამათს ეროვნულ უმცირესობის საკითხის გარშემო. ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ „კომუნისტი“-ს ყოველ სტრიქონს, რომლის შეხედულება შესაძლოა ხშირად მთავრობის პოლიტიკაც იყოს. ამიტომ კიდევ გვინდა ამხ. კან-ის ზოგიერთ დებულებას ანგარიში გაუწიოთ.

ამხ. კანს ძალიან კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ სოც.-ფედ. პარტიისათვის არასოდეს არ არსებობდა ბაუერის პერსონალურ პრინციპის დებულებანი ეროვნულ საკითხში სახელმძღვანელო აზრად. პირიქით, ბაუერის დოქტრინას ჩვენ მუდამ ვებრძოდით და ვებრძვით დღესაც. მაგრამ ბაუერის ზოგიერთი დებულებით სარგებლობა შეიძლება ისეთ მცირე ეროვნულ ჯგუფებისათვის, როგორც არის მაგალითად ოსები საქართველოში.

ჩვენ ვთხოვთ ამხ. კანს ჩვენს ამ აზრს ნუ გამოიყენებს დემაგოგიისათვის, ეს დღეს არავისათვის არ არის საჭირო. რასაკვირველია ჩვენ არ ვამბობთ, საქართველოს საკითხი გადაიჭრას სრული დამოუკიდებლობის თვალსაზრისით, ხოლო ოსეთისა კი—ბაუერის პრინციპით, არა, ოსეთი რომ ელემენტარულ პროტოტიპსაც წარმოადგენს საქართველოისა, სულ უბრალო მინიატიურასაც—ჩვენ ოსეთზე იმასვე ვიტყოდით, რასაც ვამბობთ საქართველოზე, მაგრამ რაკი ეს ასე არის, რაკი ოსეთი, როგორც „კომპაქტური მოსახლეობა“ არ არის საქართველოში, რომელსაც შეეძლოს „პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი“ ატრიბუტების ტარება—ეი ამიტომ ვამბობთ, ოსეთში არ შეიძლება ლაპარაკი სახელმწიფოებრივ მომენტებზე ეს იქნებოდა მხოლოდ უაზრო პოლიტიკური პარტიკულიარიზმი ჩვენი სახელმწიფოსათვის დამლუპველი.

დაიყენეთ ოსეთის საკითხი კულტურის სფეროში და განიხილეთ მაშინ ჩვენი პარტიის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. ამხ. კანი სწერს: სულ გუშინწინ იყო, რომ თქვენი ორგანო „სახალხო საქმე“ მოითხოვდა ყოფ. მთავრობისაგან ოსეთისათვის პკუის სწავლებას და სხვა.

ამხანაგო კანო, ერთ რამეს გეტყვით გულწრფელად და კატეგორიულად: დღეს რომ აჯანყება მოაწყოს არსებული წყობილების წინააღმდეგ არა თუ ოსმა, ვინც უნდა იყოს იგი, ჩვენ ეხლაც მოვითხოვთ აჯანყებულების წინააღმდეგ სასტიკ ზომების მიღებას, ვინაიდან ჩვენ მიგვაჩნია ეროვნულ უბედურებად აჯანყებების მოწყობა, მაგრამ ნორმალურ ცხოვრების პირობებში განა კანმა არ უწყის თვით თვითმპყრობელობის დროს რას მოითხოვდა ჩვენი პარტია ოსეთისათვის? თუ ეს არის ამხ. კანმა უნდა მოვაგონოთ, რომ ჩვენ სასტიკ კამპანიას ვაწარმოებდით განსვენებულ ან-ფარის და მის თანამოაზრეთა წინააღმდეგ ოსების სასარგებლოდ. ხიზანთა ინსტიტუტის მოსპობა, ოსების დამკვიდრება მიწა-ადგილებზე, მათი კულტურული საქმეების მოგვარება—იყო მუდამ ჩვენი ეროვნული მოდგაწეობის დამახასიათებელი თვისება და ვისაც არ უნდა ყველა ამის დანახვა, ის იმასაც ვერ მოიგონებს თუ ეროვნულ საკითხზე მთლიანად რა აზრის იყო ის ხალხი, რომელიც დღეს ასე კარგად ლაპარაკობს ამხანაგ კანის მხრივ.

მებრძოლი.

სოციალისტურ საქართველოში

3.

საქართველოს წითელი ჯარი,

დამოუკიდებელ სახელმწიფოს ახასიათებს სრულიად დამოუკიდებელი, უშუალო ხელისუფლება. ხელისუფლებას კი, რინაირიც არ უნდა იყოს იგი, ვერ შეუძლიან გამოიჩინოს თვისება დამოუკიდებლობისა, თუ მის განკარგულებაში არ იმყოფება ყველა ატრიბუტი დამოუკიდებელი სახელმწიფოსი. ერთი ამისთანა ატრიბუტთაგანია რესპუბლიკის შეიარაღებული ძალა—ჯარი.

საბჭოთა რუსეთმა შესძლო და შეჰქმნა ძლიერი, ორგანიზაციულად და თავისი შინაგანი ენინაარსით განახლებული ჯარი. მენშევიკებისაგან გაშორებული გვქონდა თავი იმისი მტკიცების, რომ რუსეთის საბჭოთა ჯარი რაღაც უთავბოლო „ბრბოს“ წარმოადგენს, რომელიც უმაზნოდ დაძრწის გაყვრანებულ რუსეთის უსაზღვრო ტერიტორიაზე, დაძრწის მხოლოდ იმიტომ, რომ ანგრიოს, ამსხვრიოს და სჯამოს.

ეი ეს „ბრბო“ საქართველოს ეწვია და ყველამ თავისი საკუთარის თვალით დაინახო, რავდენი ცვლილება მიმხდარა რუსის ჯარის კაცებში კერძოდ და არმიაში, როგორც რთულ ორგანიზაციაში—საზოგადოდ.

რუსეთის წითელ არმიელი ძველი რუსის ჯარის კაცი ადარ არის. თვითეულ მათგანში თქვენ არ ხედავთ შეგნებულ პიროვნებას, რომელსაც ესმის საზოგადო ხასიათი იმ დიდი ცვლილებისა, რომელიც რუსეთში მოჰხდა და ის მიზნები, რომლებიც რუსეთის რევოლიუციამ ისახავს, ამ სტრიქონებს დასწერს აქედან რამდენიმე შემთხვევა წითელ არმიელებთან ამბაასისა, შეკამათებისაც კი და ყოველ შემთხვევაში მეგამოცა მათმა შეგნებამ და მთელი შინაგანი სულიერი აგებულების გარდაქმნამ.

ასეთი ელემენტებისაგან შემდგარმა ჯარმა დაკისრებული მისია შეასრულა და ძალა-უფლება კომუნისტურ პარტიას გადასცა. ამ მომენტიდან რუსეთის წითელი ჯარის მისია საქართველოში დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ იმდენად, რამდენადაც ეს ცხადია არა მარტო საქართველოს შინაგან მომქმედ ძალებისათვის, არამედ თვით წითელ არმიელებისთვისაც, რომლებიც თავიანთ ყოფნას საქართველოში დროებით ხასიათს აძლევენ, იმდენად ცხადი უნდა იყოს ჩვენთვის, რომ ცარიელი ადგილი ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში არ შეიძლება ასეთი და იმ ძალის მიერ, ... ეგზისტენციალურ ... ხასიათი ... ჩვენში, ... მუდმივი ძალა, დასაყრდნობათ ძალა ახალი შინაგანი წეს-წყობილებისა საქართველოს წითელი ჯარი.

პირველ ჩვენს წერილშიაც ვსთქვით და ეხლაც ვამბობთ, რომ დაიოუკიდებლობა ფიქციად გადაიქცევა და რუსეთის ჯარის მიერ გაკეთებული საქმე სრულიად გაქარწყლდება, მეტსაც ვიტყვით, სრულიად საწინააღმდეგო ეფექტსა და რეაქციას გამოიწვევს ქართველ ხალხში, თუ დროზე და მალე რუსეთის წითელ არმიას მეადგილე არ გამოუჩნდა და ქართული წითელი ჯარი არ შეიქმნა.

ჩვენ ვიცით, რომ მომავალი ჯარისა მომავალი კონტიგენტისთვის ძალიან ძნელი გასაგები იქნება ის სულიერი გარდატეხა, რომელიც მათში უნდა მოხდეს. ამ საქმის განსახორციელებლად საჭიროა საქართველოს ახალგაზრდობამ მთავრობამ გამოიჩინოს გრძნეგვარი თანდათანობა, მაგრამ რანაირიც არ უნდა იყოს სუბიექტური პირობები ჯარის შექმნის სიძნელისა, ჩვენ მაინც უნდა ბევრათ ამ სუბიექტური პირობების ძლევა შევქმნათ საქართველოს წითელი ჯარი, რომელიც რუსეთის წითელ ჯარს გაანთავისუფლებს თავისი პირდაპირი დანიშნულობის შესასრულებლად, რომელიც ამ ადგილად საქართველოს სამხედრებს გარეშე უნდა იდგეს.

რევოლიუციის სიმტკიცე და სიძლიერე უპირველესად ყოველისა შინაგან ძალთა რევოლიუციონურ სიმტკიცეზეა დამოკიდებული. მუშათა და გლეხთა მასამ თავისი საქმის მცველად უპირველესად ყოველისა თავისივე წრიდან გამოსული შეიარაღებული ძალა უნდა დაინახოს. ეს მეტს სიმტკიცეს მისცემს ახალ წეს-წყობილებას და გაუფასებელს იმ გაუგებრობასაც, რომელსაც ხალხის ფართო მასაში,—უპირველესად ყოველისა თვით მუშებსა და გლეხობაში იწვევს თვით ფაქტი რუსეთის წითელი ჯარის ყოფნისა ქართველი ხალხის მიწა-წყალზე.

ნიფსგენარი

მენშევიკების ბელადები

მენშევიკებმა დიდი გავლენა მოიპოვეს საქართველოში მხოლოდ იმით, რომ შეადგინეს ნაციონალური მთავრობა ნაციონალური ორგანოებით და ეუბნებოდნენ ხალხს, რომ ამ გზით შეიძლება პროლეტარიატის გამარჯვება და მისწრაფება ალთქმულ ქვეყნისაკენ, სადაც ადგილი არ გეგონა არავითარ ჩაგვრას და უთანასწორობას.

მაგრამ თავისი მოქმედებით და ტაქტიკით მენშევიკების ბელადებმა ვერ გამონახეს პირდაპირი გზა და დაადგნენ რუსები რომ იტყვიან „ვინკა-სტანკას“ პოლიტიკას. მუშა-გლეხობას ბრძოლისკენ იწვევდნენ და ამავე დროს თვით ბელადები-კი რუკის გზას ადგნენ. ევროპასაც უცინოდნენ და აზიასაც ულრიჭოდნენ და ამავე დროს მეორე ინტერნაციონალს თვალს უკნევდნენ. რას ნიშნავს ასეთი მურყეი ტაქტიკა და პოლიტიკა? ეს ნიშნავს იმას, რომ მენშევიკების ბელადები იყვნენ გამსუბუქებულნი ბურჟუაზიული ფსიხოლოგიით, მაგრამ ხალხის წინაშე ამის გამომჟღავნებას ვერ ბედავდნენ, ე. ი. თილისმობდნენ და ხალხს სიმართლის თქმას ვერ უბედავდნენ. რატომ? იმიტომ რომ ეშინოდათ მიპოვებული ავტორიტეტის დაკარგვა, რომლითაც იგინი მუდმივ გარეტიანებულ და გაბრუებულნი იყვნენ.

ასეთი ორპოფი პოლიტიკა განიავდა იმით, რომ მენშევიკები საშინლად დამარცხდნენ და დამარცხდნენ ისე, რომ მე შეუძლებლად მიმაჩნია ოდესმე მათმა ბელადებმა თავი წამოყონ საქართველოში. მენშევიკების ბელადები გაიძახოდნენ—„საქართველოს რევოლიუციონური პროლეტარიატი“, „რევოლიც. მუშა-გლეხობა“ და სხვ, მაშასადამე ბელადებიც ამ პრინციპებით უნდა ჩოფილიყვნენ განმსუბუქებულნი, მაგრამ.....

„მაგრამც“ ის არის, რომ ეს ყოფილა თეორიე მხოლოდ ფრაზები და არა პრინციპები, ეს უპრინციპობა მენშევიკების ბელადებისა დამტკიცდა მათმის უკანასკნელ აქტში. საქართველოს პრო-

ლიტარიატის და მუშა-ხალხის ეგრედ წოდებული ბელადები გადასხდნენ იტალიის მშვენიერ გემზე, მი

შებს მათ მიერ გასანთავისუფლებლად ნაწარმოებ გმირულ ბრძოლაში სრულ დახმარებას.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს. გაუმარჯოს საბჭოთა ხელის უფლებას მთელ ქვეყანაზე. გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს.

დამპყრობელნი.

ნაუენი 21—3. სოციალისტურმა საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში განაცხადა, რომ საფრანგეთის ხელისუფალი ისე იქცევიან ელზასში, როგორც დამპყრობილნი, საფრანგეთის მთავრობა აშკარად გრძნობს, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი მას სიმპატიურად არ ეპყრობიან. საპირო შეიქმნა ელზას ლოტარინგიაში ფრანგული საპროპაგანტო სპეციალური ორგანოების მოწყობა.

ყიდვა-გაყიდვა

ნაუენი. 28—3. შეერთებულ შტატების მთავრობამ სარგებლობას რა საფრანგეთის, ძვიმე მდგომარეობით. წინადადება მისცა საფრანგეთია მთავრობას მიჰყიდოს ამერიკას საფრანგეთის გვინეია. რომელშიაც აძლევენ 40 მილიონ დოლარს. საფრანგეთი კი გვინეიაში თხოულობს 60 მილიონ დოლარს.

რევოლიუცია გერმანიაში.

ნაუენი, 6—3. შუაგულ გერმანიაში პოლიციამ დაიპყრა ეიდენბენი. საქსონიის პროვინციაში სიწყნარეა. უცხოელები,-რომლებიც მუდმივად არ ცხოვრობდნენ აჯანყებულ რაიონებში მოურიდებლად იგზავნებიან იქიდან. ბერლინის კომუნისტური გაზეთი „როტი ფანე“: რომელიც განაგრძობდა აგიტაციას პარასკევს მესამეთ გაუკეთეს კონფისკაცია. ლიხტენბერგში, ბერლინის ახლო, სროლაც იყო კომუნისტებთან, სადაც მოკლულ იქნა დამცველ პოლიციის ვახმისტრი. მიუნხენში დაპატიმრებულია რეიხსტაგის დეპუტატები ტომანი, რომელსაც ბრალდება საბელმწიფოს დალატში: ის მოუწოდებდა კომუნ სტურ დემონსტრაციისა და საბელ მწიფოებრივ ალმშენებლობის დამხობისაკენ. გერმანიის მთავრობას იმედი აქვს ენერგიულ ზომებით ყოველგან დაამყაროს წესრიგი.

სოც.-ფედ. პარტიაში

ორშაბათს, მარტის 28-ს, საღამოს, გაიმართა შეერთებული კრება საქ. სოც.-ფ—თა სარ. პარტიის მთავარი კომიტეტისა და საპროფესიო ფედერაციის წარმომადგენელთა. დაესწრენ: მთავარი კომიტეტის 12 წევრი და წარმომადგენლები შემდეგი დარგებისა: ტრამვაის, ფოსტა-ტელეგრაფის, სტუდენტების, კოოპერატივების, სტამბის მუშათა, რკინის გზის და აგრეთვე ტფილისის საქალაქო კომიტეტისა. თავჯდომარეობდა ამხ. ს. ყარყარაშვილი. კრებამ მიიღო პრეზიდიუმის ძიერ წარმოადგინა შემდეგი რეზოლიუცია დროებით მთავარ კომიტეტის მოქმედების შესახებ, რაზედაც კამთი დამთავრდა წინა კრებაზე: „საქ. სოც.-ფ-თა სარ. პარტიის მთავარ კომიტეტ ს, საპროფესიო ორგანიზაციების, მუშათა კავშირის და ტფილისის კომიტეტ ს წარმომადგენელთა შეერთებულმა კრებამ, მოისმინა რა მოხსენება დროებით მთავარ კომიტეტის მოქმედების შესახებ, დადგინა: მიზანშეწონილად სთვლის დრ. მთავარ კომიტეტის ძიერ გადადგმულ ნაბიჯებს და გადადის მორიგ საკითხზე“.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ უცხო ქვეშევრდომთა რეგისტრაციის შესახებ:

1. ყველა უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომნი, რომელიც სცხოვრობენ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ვალდებულნი არიან შვიდი დღის განმავლობაში, დღიდგან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა, წარმოადგინონ თავიანთი სიბუთები: ქალაქ თბილისში-ქალაქის რევკომის შინაგან საქმეთა განყოფილებაში, და სხვა ადგილებში-კი ადგილობრივი რევკომების სათანადო განყოფილებებში.

2) ვინც არ გამოცხადდება სარეგისტრაციოდ ამ ვადის განმავლობაში მიცემული იქნება სამართალში რევოლიუციონური წესით.

შენიშვნა: უცხო სახელმწიფოთა მოქალაქენი: რომელნიც უკვე იყვნენ აღრიცხულნი, ამ დადგენილების გამოქვეყნებამდე, ვალდებულნი არიან გამოცხადდენ სარეგისტრაციოთ იმ წესით, რომელიც არის ნაჩვენები პირველ §-ში.

3. დროებითი და მუდმივი ბინადრობის გამოცვლის შესახებ უცხოელ მოქალაქეებმა პირადად უნდა აცნობონ სარეგისტრაციო დაწესებულებას. რაც აღინიშნება პირადობის მოწმობაში; ამ წესის დამრღვევნი დაისჯებიან თანახმათ §-2-ში.

4) საბინაო კომიტეტებს, და სადაც ასეთი არ არსებობს, სახლის პატრონებს, სახლის მმართველებს და კომენდანტებს და აგრეთვე მუშათა და გლეხთა მილიციას ევალებათ თვალყურის დევნა, რომ სისწორით იქნეს შესრულებული ეს დადგენილება.

5) უცხოელ მოქალაქეთა რეგისტრაციისათვის შემოღებულია ამასთანავე დართული საბაკენტო ფურცლები.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი —ბ. კვირკველია, კომისარიატის საქმეთა მართველი—მატვეევი.

ყველა საგუგერნიო, სამაზრო და სამუნიციპალ რევკომებს.

ცირკულიარი საქართველოს რევკომისა მისივე ბრძანების № 16-ს განვითარებისათვის.

მიდგომარეობა მხედველობაში ჩვენი ქვეყნის მშრომელი გლეხკაცობის ორსებითი ინტერესები, საქართველოს რევკომმა თავისი ბრძანებით № 16 ამა 1921 წ. მარტის 14-ს თარიღითა დაავალა ყველა ადგილობრივ რევკომებს დაუყოვნებლივ, ვიდრე საგანგებო კანონები გამოიცემოდეს, სასტიკი ზომები მიეღო ყველა იმ უძრავ-მოძრავი ქონებისა, მამულებისა და სამეურნეო იარაღების თვითნებობითი განაწილებისა და გატაცებისათვისა და გატაცებისაგან დასაცავად, რომელიც ყოფილ მთავრობის ან მემამულეთა განკარგულებაში იმყოფება.

მიუხედავად ასეთი ბრძანებისა, საქართველოს რევკომს განუწყვეტლივ მისდის ცნობები ადგილობრივ მცხოვრებთა და ზოგიერთ ორგანიზაციათა მიერ ანარქიულ მოქმედების შესახებ, რომელიც მიმართულია ზემოხსენებული მშრომელი ხალხის ქონებისა და სიმდიდრის გახადგურებისაკენ.

ამიტომ უკანასკნელად გეძლევათ წინადადება თქვენი პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ მიიღოთ უსასტიკესი და გადამჭრელი ზომები, 1) რათა გატაცებული ქონება დაბრუნებულ, აღდგენილ იქნეს დამნაშავენი პასუხისგებაში მიცემულნი და 2) დაუნდობლათ ძირშივე მოიპობილ იქნეს ზემოაღიშნული ანარქიული მოქმედება, ხალხის სიმდიდრის დაცვის- და შენახვის საქმეში.

ყველა ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელიც დაუდევრობასა და ნაკლებ სამტკიცეს გამოიჩენს ამ ბრძანების ასრულებაში, და აგრეთვე ყველა, ვინც პირადად მონაწილეობას ძიიღებს ხალხის ქონების გატაცებაში, მიცემულ იქნება უსასტიკეს პასუხისგებაში, როგორც მოღალატე ხალხისა საბჭოთა ხელისუფლებისა.

საქართველოს რევკომის თავმჯდომარე

ფ. მახარაძე.

გარეშე ვაჭრობა და უცხო ფირმები

15 მარტს, სახ. გარეშე ვაჭრ. კომიტ. თავმჯდომარის მოადგილის ამხ. დუნტაუს თავმჯდომარეობით შესდგა სხდომა გარეშე ვაჭრ. წარმომადგენელთა, ავსტრიის, ბელგიის, გერმანიის, იტალიის, ჰოლანდიის, სპანეთის, პოლონეთის, შვეიცარიის, ჩეხო სლოვაკიის ოფიციალურ წარმომადგენელთა და უცხო ფირმების 33 წარმომადგენლისა.

დუნტაუმ მიმართა დამსწრეთა დიდი სიტყვით, რომელშიც გამოსთქვა საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკის და დასავლეთ ევროპის შორის საქონლის გაცვლის ძირითადი პრინციპები. „რუსეთში, ამბობს დუნტაუ“, კარგად იციან ევროპის ეკონომიური მდგომარეობა, აგრეთვე ევროპამ იცის, თუ როგორი მძიმეა ზოგჯერ საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიური მდგომარეობა.

ეს გარემოება არ უნდა უშლიდეს ხელს საბჭოთა რესპუბლიკების და ევროპის შორის საქონლის გაცვლას. საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიურ ცხოვრების ახალი ფორმები აყენებენ მაოფლო მეურნეობის ფართო პერსპექტივებს.

ჩვენ ღარიბი ვართ დამუშავებითი მრეწველობის საგნებით, მაგრამ მდიდარი ვართ ნედლი მასალით, ტყით და მადნეულობით. იდეალი, რომლისკენაც ჩვენ მივილტვით, მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ დავ კმაყოფილოთ ჩვენი მინიმალური მოთხოვნილებანი, არა ჩვენ გვინდა წინ სვლა, ჩნენ გვინდა მტკიცე კავშირი დავიპიროთ მთელ მსოფლიოსთან, ჩვენ გვინდა მივიღოთ ის, რაც გვჭირდება ქვეყნის განვითარებისთვის და ჩვენ მჭრივ მივცეთ ის, რაც საჭიროა სხვისთვის. ჩვენ ვაძლევთ ოქროს, ჩვენს განუსაზღვრელ ნედლეულობის ფონდს და ბოლოს, ჩვენ ვაძლევთ საშუალებას დამუშავებითი და მოსაძებნი მრეწველობის შეთანხმებითი მუშაობისას

ევროპას და ყველა უცხო ფირმებს სრული საშუალება აქვთ აზარმოონ ნაყოფიერი მუშაობა სოციალისტურ საქართველოში. უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომები, როგორც უკვე საქართველოში მყოფნი, ისე ახლად ჩამომსვლელნიც, იქნებიან საბჭოთა ძალაუფლების თანამშრომლები, თუ კი ისინი მოისურვენ ამას.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი მოქმედობს ყველა სოციალისტურ რესპუბლიკის სახელით და ამიტომ ყველა უცხოელმა ფირმამ უნდა იცოდეს. რომ ყველა მათ მიერ შემოტანილი საქონელი უზრუნველყოფილია საბჭოთა რუსეთის და ყველა სოციალისტურ რესპუბლიკების ნედლი ძასალის და სამთო სიმდიდრის აუარელი ფონდებით. ყველა ხელშეკრულებანი. დადებულნი საქართველოს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან განხილულ იქმნება გაერთიანებულ რესპუბლიკების მასშტაბით.

მე უნდა გადაჭრით განვაცხადო, რომ უცხოელ ფირმების კუთვნილი ყველა ის საქონელი, რომელიც უკვე საქართველოშია და აგრეთვე ყველა აქ მომავალი საქონელიც, სრულიად უზრუნველყოფილია და იქნება პატრონის განკარგულებით—საქართველოს საგარეო ვაჭრობის კომისარიატისათვის მისაყიდათ. თავის მხრივ საგარეო ვაჭრობის კომისარიატი მიიღებს ყველა ზომებს. უცვლელ ფირმებსა და ევროპის შორის ურთიერთობის გასაადვილებლათ. რათა ფირმების ცენტრალურმა სამმართველოებმა დროზედ მიიღონ ხოლმე ცნობები საქმეთა ნამდვილ მდგომარეობის მესახებ საქართველოში. ეს საჭიროა. რომ ევროპა გულდამშვიდებით იყოს და გაფანტულ იქმნას ის ცრუ ხმები, რომლებიც უშლიან საქონლის წესიერ გაცვლა-გამოცვლის დამყარებას საბჭოთა რესპუბლიკებთა და მთელ სოფლიოს შორის. ფირმები, რომლითაც დაბანდეს საქართველოში თავის ფული. დარჩებიან ძველი სახით, მცირედი გამონაკლისით ამ წარმოებათა მმართველ ორგანოების მიმართ, რადგანაც სოციალისტურ პრინციპების თანახმად, მუშებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა საქმეთა მართვაში, მაგრამ კომერციული და ტეხნიკური პრინციპები დარჩებიან წინანდელი. ყველა ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი. დადებულნი ძველი რეჟიმის დროს, ძალაში იქნებიან ცოტაოდენი ცვლილებებით, რაც გამოწვეულია სოციალისტურ აღმშენებლობის ახალი პრინციპებით.

ეს დებულება ეკუთვნის აგრეთვე იმ ძველი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს და ფულის გადახდას, რომელნიც ცნობილნი არიან საბჭოთა ძალა-უფლების მიერ. თუ კი რასვკვირველია. ამ ხელშეკრულებებს, არ ექნებათ სამარცხვინო ხასიათი.

კერძო მსხვილი ვაჭრობა საქართველოში მოსპობილ იქნება და საქართველოს ქვეშევრდომთა მსხვილი კაპიტალი გადადგა სახელმწიფოს ხელში, წვრილი ვაჭრობა კი რჩება თავისუფლათ. სამწუხაროთ ბევრი ადგილობრივი მსხვილი კაპიტალისტი. ქონების ჩამორთმევის შიშით, თავის საქონელს ანაწილებს წვრილ ვაჭართა შორის. ამიტომ გაუგებრობის ასახსნელათ ვაცხადებ, რომ ყველა საქონელი და საწყობები დაბეჭდილ იქნებიან დანაწილების თავიდან ასაცილებლათ და საქონლის გაცვლა-გამოცვლის მოსაწყობათ.. საქართველოს ქვეშევრდომნი ჩამორთმეულ საქონელში მიიღებენ საგანგებოთ განსაზღვრულ ფასს. მათ უნდა შეიტანონ სათანადო ანაცხადება საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა. წვრილი ვაჭრობა კი დაკმაყოფილებულ იქნება საქონლით საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ. რაც შეეხება უცხო პირებს, მათი საქონელი იქნება აღრიცხვაზე იმ ფასში, რომელიც გამომუშავებულ იქნება ყოველ ცალკე შემთხვევისთვის. რაც შეეხება ტრანზიტს, ვაცხ დებ, რომ უკვე დადებული შეთანხმებანი შეიძლება ასრულებულ იქნეს მთლიანათ, თუ ამ შეთანხმებით განზრახული მხოლოთ ერთი ოპერაცია, ხანგრძლივი შეთანხმებანი კი ხელ-ახლა განხილულ იქმნენ.

თავისი სიტყვა დუნტაუმ დაათავა უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებისადმი მიმართვით, სადაც სთხოვდა გამოეთქვათ მათ თავისი აზრი ყველა გაუგებრობის გამოსარკვევათ და მუშაობის დასაწყებათ.

გერმანიის, იტალიის, ჩეხო-სლოვაკიის და აგრეთვე ესტონეთის წარმომადგენლები მიესალმნენ ახალ ხელის უფლებას და განაცხადეს, რომ ისინი ძიიღებენ ზომებს, რათა ევროპას გაეცნონ საქმის ნამდვილი ვითარება. რომელიც ხელის შემწყობია ევროპასთან საქონლის გაცვლა-გამოცვლისა.

აჯანყება ლორეში

ამ აჯანყების მომწყობ ვინმე ლაზიანს, შემდეგი ცნობები გადაუცია გაზ. კავროსტას თანამშრომლისათვის.

საქართველოს მენშევიკურ მთავრობის ჯარების მიერ ნეიტრალურ ზონის დაკავების დროიდან, ლორის გლეხობის მდგომარეობა ძალიან გაუარესდა. მუდმივ რეკვიზიციები, ძარცვა-გლეჯა, მკვლელობები, რომელსაც ახდენდნენ მენშევიკურ მთავრობის აგენტები, ძლიერ აღელვებდა მშრომელთა მასებს. ლორის ჯლეხების წარმომადგენელმა მაშინვე დაიწყეს თავის ძალების ორგანიზაცია და მიმართეს თხოვნით კომუნისტურ პარტიას შველისათვის. სომხეთის ხაუფიერმა სოვეტიზაციამ ალაფრთოვანა ლორის გლეხობა და მისმა წარმომადგენლებმა უფრო გადაწყვეტილად დასვეს საკითხი ნეიტრალურ ზონაში საბჭოთა ხელისუფლების ადგილებისა. სომხეთის კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს არ შეეძლო გულცივად შეხვედროდა ნეიტრალურ ზონის გლეხების სტიქიურ მოძრაობას და სურდა ოა აეცილებინა ანარქიული და ორგანიზაციული გამოსვლები, შეუდგა აჯანყების ორგანიზაციის მოწყობას და გაგზავნა ზონისკენ პასუხისმგებელი ამხანაგები. დეკემბრის თვის უკანასკნელ რიცხვებში ზონაში მივლინებულ იქნა ამხ. ლაზიანი მთელი პარტიულ მუშაობის ხელმძღვანელად ამ მომენტისთვის ნეიტრალურ ზონის ბევრ ადგილას უკვე აოსებობდნენ იდუმალი რევკომები და პარტიული კომიტეტები. ჩვენ მიზანი, ამბოხს ამხანაგი ლაზიანი. უწინარეს ყოვლისა ძდგომარეობდა იმაში, რომ ეფექნა საერთო ცენტრი ასაჯანყებელი მუშაობისა და გამება კავშირი ამ ცენტრისა და სომხეთის ცენტრალურ კომპარტიის. მუშაობა გვიხდებოდა ცუდ პირობებში, თადგანაც ძენშევიკური აგენტები, რომელთაც არაფერი საყრდენი არ ჰქონდათ, მიმართავდენ მასიურ რეპრესიებს და აგრეთვე ქალების და ბავშვების დატუსაღებას.

ძველი ზონა ჩემ ძიერ დაყოფილ იყო ოთხ უბნათ: ვორონცოვკისა დეიხისა, უზულმლიარისა, და შინიხისა. ყოველ უბანში იყო შექმნილი ფარულად რევკომი და პარტიული კომიტეტი. ერთი პასუხის მგებელი ბუშაკი ერთიანდა ამ ორ რევოლიუციონურ ორგანოს. ყველა საუბნო რევკომის სათავეში იყო დაყენებული ამხ. დისინი.

მოსახლეობა ამ ორგანიზაციების საშუალებით იღებდა იარაღს და ყველაფერს რაც საჭირო იყო აჯანყებისათვის. მუშაობის განვითარების მიხედვით ყველა ლომდა და ... ... აჯანყების დაწყების საათი. ამ დროს ... ...